

«საქართველოსთვის ცოტა გაბიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე»

საქართველოში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ოდითგანვე ჩვენი ერის პრიორიტეტი იყო. ამ იდეით იყვნენ შთაგონებულნი ილია, ვაჟა, აკაკი და სხვა საზოგადო მოღვაწეები, რომელთა შეგნებული ცხოვრებაც ქვეყნის დამოუკიდებლობის სურვილს უღვიძებდა ქართველ ერს.

«ქართველი ერი იმ უძველეს და უორიგინალეს ერთგანია, რომლის ძირიც უძველეს ისტორიაშია ჩამარსული. დღეს მისი ნათესაობაც ვერ დაუდგენიან საბოლოოდ წარსულს და ან არსებულ, ცოცხლად დარჩენილ ერებთან. ქართველი ერი ისტორიული ერია. უძველეს დროიდან მას მონაწილეობა მიუღია საერთო კულტურულ და ისტორიულ ცხოვრებაში. ხანგრძლივი დამოკიდებულება ჰქონია უძველეს ხალხებთან. იგი ისტორიული და კულტურული ერია განსაკუთრებით იმიტომ, რომ კავკასიის განსაზღვრულ ტერიტორიაზე მან შექმნა უკვე საუკუნოდ დამკვიდრებული თავისებური სოციალური ორგანიზმი, შექმნა განსაზღვრული სამშობლო, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ვეტროფოდით და დღესაც გვიყვარს იგი. ქართველმა ხალხმა შექმნა თვით სახელი „საქართველო“, შექმნა პოლიტიკური ცხოვრება, საერთო კულტურული ენა, მდიდარი და განვითარებული და შედარებით სხვებთან წმინდად დაიცვა იგი. საკუთარი ანბანი სწრაფად იგი უძველეს დროიდან საუცხოვო საღმრთოთა და საერო თხზულებათა; ჰქონდა საკუთარი, მშვენიერი მუსიკა, მრავალი სხვა დარგი ხელოვნებისა. მას დღესაც აქვს ზნობრივი და კანონიერი უფლებანი თავისუფალი არსებობისა, და თუ ნიჭი თავის დაცვისა განუვითარდა, თუ აგრეთვე საერთაშორისო სამართალი ოდნავ მაინც დაიცავს ერის კანონიერ უფლებასა, - იგი არ მოკვდება» - წერდა **ილია წერეთელი** ნიგნში „ერი და კაცობრიობა, რომელიც 1910 წელს გამოვიდა. მას შემდეგ იყო საქართველოს დროებითი თავისუფლება. 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. მერე იყო 70-წლიანი გასაბჭოების პერიოდი, სადაც ქართველმა ერმა რეჟიმის წინააღმდეგობისა და რეპრესიების მიუხედავად, კვლავ შეინარჩუნა რწმენაც და დამწერლობაც და, პარალელურად, არასოდეს დაუკარგავს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი. საბჭოთა რეჟიმმა, რომელიც ღიად ებრძოდა ეკლესიას და ერების რუსიფიკაციას ენოდა, ვერ შეძლო ილია ჭავჭავაძის სამშობლოში გაექრო ლეტი ლუნისა ოცნება.

1989 წელს დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ეს იდეა რეალობად აქცია. და მართლაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ შეძლო დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა. 70-წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა, თუმცა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველომ უარი თქვა პირველი რესპუბლიკის დროშაზე, გერბსა და ჰიმნზე. ეს უკანასკნელი ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ტექსტისა და მელოდის სირთულის გამო დაინუნეს.

მართალია, დღეს ჩვენს ქვეყანას კვლავ უნებს ბრძოლა ქვეყნის მთლიანობისათვის, რადგან ქვეყნის 20%-ზე მეტი ოკუპირებულია, კვლავ ეწირებიან გვირგვინი სამშობლოს სიყვარულს, მაგრამ დამოუკიდებლობა გვაქვს და მთავარი გადანყვეტილების მიმდებარე ჩვენი ერია. თავისუფლება დიდი მონაპოვარია, მაგრამ მას გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება. როგორ? მეტი განათლებით, შრომისმოყვარეობითა და ქვეყნის წინაპე პასუხისმგებლობით.

თუ ამ თვისებებს გამოვიმუშავებთ, მაშინ თავისუფლად შეგვეძლება ვთქვათ: ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო! ჩვენ ვზრუნავთ ქვეყნის მომავალზე და მის დამოუკიდებლობაზე!



მთავარია, დაფიქრდეთ იმაზე, რას ვუტოვებთ მომავალ თაობას, ჩვენს შვილებს, რომელთა წინაპეც პასუხისმგებლობას ვერასოდეს გავუტოვებთ...

«ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელს თავის ძალ-ღონით, თანამოქმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონიერული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწარმით მთელი კაცობრიობა სტკებდა დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოქმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტი“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებდა ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებდა „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხო, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? - არასდროს. გენიოსს, როგორც პირიველებს, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათავყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება.

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“ -აი, ეს ანდერძი დაგვიტოვა ვაჟა-ფშაველამ.

ინგა შიოლაშვილი

მუზიკობით სკოლა... მუზიკობით ბავშვობა...

ბოლო ზარი ძალიან სევდიანი ხმაა, როცა ხედები, რომ ის ნამდვილად ბოლოა.

ასეთი სევდანარევი სიხარულით იყო საცეს 19 მაისი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლებისთვის, სადაც მე-12 კლასელებისთვის ბოლო ზარის ხმა გაისმა. მათ შორის იყო დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლაც, რომელსაც წელს პირველი კურსდამთავრებულები ჰყავს. გამოსაშვებ საღამოზე ახალგაზრდებმა იუმორისტული, მუსიკალური, მხატვრული და ქორეოგრაფიული ნომრები წარადგინეს.

კურსდამთავრებულებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა გელა სამუკაშვილმა, მალხაზ მერაბიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა,

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ბახუტაშვილმა, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშვილმა, ასევე სკოლის დირექტორმა თეა სხორტლაძემ და მოწვეულმა სტუმრებმა მიულოცეს. დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა 2014 წელს დაარსდა. წელს ის ექვსმა მეთორმეტე კლასელმა დაამთავრა.

ბოლო ზარის დარეკვა იზეიმეს ასევე დედოფლისწყაროს მეორე, არბოშიკისა და ზემო მაჩხანის საჯარო სკოლების მოსწავლეებმაც.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ყველა კურსდამთავრებულს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას და წარმატებებს უსურვებს მათ მომავალ საქმიანობაში.



მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ელექტრონული კომუნიკაციების და მარკეტინგის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ასევე კომპანიების ვალდებულებებსა და მომხმარებელთა განცხადება/საჩივრების წარმოდგენისა და განხილვის წესებს.

საინფორმაციო შეხვედრის მიზანი საკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებაა. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, სამსახურის მიერ, აქტიური კამპანია 2019 წლიდან მიმდინარეობს.



რეგულარული შეხვედრები ამაღლებს მომხმარებელთა ცნობიერების დონას. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, სამსახურის მიერ, აქტიური კამპანია 2019 წლიდან მიმდინარეობს.

„შენ ხარ იგი ხე, ათას წელში ერთხელ რომ ყვავის.“



ხელოვნების ასაკი ბუნებრივია არ ემთხვევა კაცობრიობის ასაკს, მაგრამ პირველი მხატვრული ნაწარმოების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ხელოვნება თან სდევს ადამიანს მისი არსებობის პირველი ნაბიჯებიდან, შემდეგ თანდათან ვითარდება და უკვდავი ხდება, უკვდავი ხდება თვით ხელოვნებაც.

დიდ ნიკო ფიროსმანაშვილს კი თავისი უკვდავების შესახებ ალბათ არასოდეს უფიქრია არც მაშინ, როცა ხოკეაანთ სერზე მირზაბაიძის ცხოვრობდა და არც მაშინ, როცა ოჯახი მიატოვა და თბილისში წავიდა, როცა თავის საყვარელ მშობლებს და სოფელს მხოლოდ სიზმარშია ხედავდა, ღრმა ძილს მიცემული, უცხო ქვრს შეფარებული პატარა ნიკალა. ალბათ არც მაშინ, როცა მან პირველი ნახატები ნახშირითა და ფანქრით კედლებზე შეასრულა, არც მაშინ, როცა თავისი საყვარელი ტილოები სახელოსნოს ვიტრინებში გასაყიდად გამოკიდა. მითუმეტეს არც მაშინ, როცა იგი მედუქნე მხატვრად იქცა, როცა მირზაბაიძის ჩამოსვლის დრო აღარ ჰქონდა და სოფლის მონატრების სურვილს ნაყიდი ბაღის სურნელით იკლავდა.

დღეს ახდენილია მისი სურვილი, ფრთაშესხმულია მისი ოცნება. მშობლიურ სოფელში აშენებულია მისი ნაოცნებარი „დიდი სახლი“, სადაც მოდიან მსოფლიო კულტურის ცენტრებიდან და დიდი სიამოვნებით ათვალიერებენ მის გაუხუნარ

ფერთა გამას. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სიტყვებს გავიმეორებ: „ფიროსმანის ხელოვნება ისევე მარადიულია, როგორც ხალხი, რომელმაც წარმოშვა ძვირფასი, ხალხის ნიჭით დაჯილდოებული ოსტატი“.

ჯერ კიდევ 1926 წელს ტიცინ ტაბიძემ იწინასწარმეტყველა: „დადგება დრო, როდესაც ფიროსმანაშვილზე ილაპარაკებს მთელი მსოფლიო. იგი მხატვარია მინის და ხალხის, რის გამოც ხალხი დააფასებს მის ნაწარმოებებს და თაობიდან თაობას გადასცემს“.

ახლა მისი სიტყვები: ფიროსმანაშვილის ნამუშევრებმა მსოფლიო ხელოვნების სახელგანთქმული ცენტრების საგამოფენო დარბაზები მოიარა, დიდი ზარზედით ორჯერ შევიდა ლუვრში.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ახლახანს „ფუნჯის არწივმა“ დანიის სამეფო კარიც შეაღო და მისი საგამოფენო დარბაზები დაამუშენა.

18 მაისს, მუზეუმების დღეს, დიდი თაკარა მზის ქვეშ, ყაყარებით გადასისხლიანებულ ნიკალას ნაკვარზე აშენებულ მისი სახელობის მუზეუმში გაიმართა კულტურის სამინისტროს ფესტივალი, სადაც კიდევ ერთხელ მოიგონეს ნიკალა. აქვე დამსწრე საზოგადოებას შეეძლო ბელა ლოპჯანიძის პატარა მხატვრების ხილვა.

დალი ფიროსმანაშვილი

მორიგი საქველმოქმედო კონცერტი „გიორგელებისგან“

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანას აუცილებლად უნდა შეექმნა ცეკვა სამაია, რომლის მსგავსაც მსოფლიო ქორეოგრაფიული კულტურა ცოტას თუ იცნობს. მებრძოლი სულის ხალხს აუცილებლად უნდა შეექმნა ხორუმი, ბარისა და მთის შვილების გაერთიანებით აუცილებლად უნდა შექმნილიყო მთიულური, დავლური, ოსური, აჭარული, და კიდევ ბევრი სხვა დიდებული ცეკვა, რომლითაც ქორეოგრაფიული ანსამბლი „გიორგელები“ 19 მაისს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარმატებით წარსდგნენ.

დედოფლისწყაროელებმა იციან, რომ ანსამბლი „გიორგელები“ ანსამბლის ხელმძღვანელის, სვირა ზუბიაშვილის დაუღალავი შრომითა და დამსახურებით, მუდმივად სიკეთის, ქველმოქმედების სადარაჯოზე დგას და ყოველთვის გვერდში უდგას მათ, ვინც ჩვენს დახმარებას მცირედით, მაგრამ მაინც ელის. 19 მაისის ღონისძიებაც სწორედ ამ გულისხმიერებისა და სიკეთის გამოვლინება იყო. ამჯერად „გიორგელები“ ნინო ჭილიტაშვილ-ქინქლაძეს ამოუდგნენ მხარში, რო-



მელსაც ჩვენი საზოგადოების დახმარება სჭირდება. ამ კონცერტის მიზანი იმ პროცედურების ჩასატარებლად თანხის შეგროვება იყო, რომელიც მას სიმსივნის სამკურნალოდ ესაჭიროება.

„გიორგელებთან“ ერთად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანსამბლი „ხორნაბუჯი“, მომღერალი ლიზი ბუთხუზი, პატრიოტული ლექსით საზოგადოების გული მოიგო თორნიკე პაპუაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს, სიტყვით აუდიტორიას სწორედ ნინო ჭილიტაშვილ-ქინქლაძემ მიმართა. მან საზოგადოებას მადლობა გადაუხადა იმ სიკეთის, გულისხმიერებისა და დაფასებისთვის, რომელიც ნღების შემდეგ ხედა ნილად. მან ასევე ისაუბრა იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც არამხოლოდ ახლობლებისგან და ნაცნობებისგან, არამედ სრულიად უცნობი ადამიანებისგანაც გრძნობდა.

ანსამბლ „გიორგელების“ მორიგმა საქველმოქმედო კონცერტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ სიკეთე აერთიანებს და მას დიდი ძალა აქვს.

შუშუნა ყანაშვილი

ნინო კიკილაშვილის სახელობის ჩემპიონატი დასრულდა

18 მაისს დასრულდა ნინო კიკილაშვილის სახელობის მუნიციპალური ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში - „რა? სად? როდის?“, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

ფინალში ზონალური ტურების გამარჯვებული 6 გუნდი შეხვდა ერთმანეთს. პირველი ადგილი დაიკავა და, შესაბამისად, ნინო კიკილაშვილის სახელობის გარდამავალი თასი გადაეცა დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდს - „აქსიომა“. მეორე და მესამე ადგილები ზემო მაჩხანის საჯარო სკოლის გუნდებს - „საფერავი“ და

„რქანითელი“ ხვდათ ნილად. საუკეთესო მოაზროვნედ დასახელდა ნიკოლოზ სიჭინავა („აქსიომა“). გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები, აგრეთვე ნიგნები - ნინო კიკილაშვილის ოჯახისგან. შეხვედრას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი.

აღნიშნული ჩემპიონატი უკვე რამდენიმე წელია ტარდება და ტრადიციულად გარდაცვლილი ნინო კიკილაშვილის ხსოვნას ეძღვნება.



„დაისი“ - 100 წელი პირველი დადგმიდან

29-30 აპრილს, 5,6,7,12,13,14 მაისს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა დაისის პრემიერა - 100 წელი პირველი შესრულებიდან. ლიბრეტო ვალერიან გუნიასი.

მხატვრული თვისებებით, მკაფიო ეროვნული ნიშნებით არის გამორჩეული ეს შესანიშნავი ოპერა „დაისი“.



მხატვრულ სახეთა სიმდიდრემ და ფერადობებამ, მუსიკის იშვიათმა პოეტურობამ და გამომსახველობამ, ნათელმა მელოდურობამ განაპირობა ოპერის პოპულარულობა, რომელშიც შესამებულია ლირიკული სატრფიალო და გმირულ-პატრიოტული მოტივები, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის მაცესტრო რევაზ ტაკიძეს, მთავარ ქორმაისტერს ავთანდილ ჩხენკელს, დამდგმელ რეჟისორს გოჩა კაპანაძეს, კოსტიუმების მხატვრებს გიორგი ალექსი მესხიშვილს და ნინო სუხიშვილს, დამდგმელ ქორეოგრაფს ილიკო სუხიშვილს და ოპერის გუნდს და ორკესტრს და ქართულ ნაციონალურ ბალეტს „სუხიშვილებს“.

საპრემიერო 8 სპექტაკლი სრული ანშლავით გაიმართა. მთავარ პარტიებს მღეროდნენ:

მალხაზი არმაზ დარაშვილი, თემურ გუგუშვილი, ალექსანდრე თიბელაშვილი, გიორგი სტურუა;

კიაზო - ვახტანგ ჯაშიაშვილი, ელდარ გენაძე, გიორგი ლომისელი, სულხან გველეხიანი, გიორგი მჭედლიძე, მამუკა ლომიძე, ლევან ტაბატაძე, ალუდა თოდუა;

მარო - მარია მაჩიტაძე, ლიანა კლმახელიძე, მარიანა ბერიძე, ნათია ბუჭუაშვილი, მარია კულაშვილი, სოფიო გორდელაძე, ნათია სტეფანიშვილი;

ნანო - ირინა ალექსიძე, ელენე ჯანჯალია, ირინა შერაზადაშვილი, მარიამ ბარათაშვილი;

ტიტო - თამაზ საგინაძე, გიორგი ბერძენიძე, ფილიპე ლაჭავაძე;

ცანგალა - გოჩა დათუსანი, გია ასათიანი, კახაბერ თეთვაძე, ლევან მაკარიძე, გიორგი გოდერძიშვილი, გივი გიგინეიშვილი, გიორგი ჭელიძე;

კომენტარი ვთხოვ ნინანდლის ფესტივალის გენერალურ დირექტორს ბატონ ღამბაში საყვარელიძეს: „პირადად ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრია, მთელი გულითა და სულით მათთან ვარ შეზრდილი, ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია ამ თეატრის გარეშე. ამიტომ ვულოცავ ამ დიდ გამარჯვებას სრულიად საქართველოს, პირადად მაცესტროს, ჩემს უსაყვარლეს დამდგმელ რეჟისორს რევაზ ტაკიძეს, სადადგმო ჯგუფს ავთან-


დილ ჩხენკელს, გოჩა კაპანაძეს, გიორგი ალექსი მესხიშვილს, ნინო და ილიკო სუხიშვილებს. მეშინია, არავინ გამომჩიეს. ყველას - სპექტაკლის ნამყვანი რეჟისორის მარინა ბურჭულაძის ჩათვლით. ჩემს უსაყვარლეს მომღერლებს: თემურ გუგუშვილს, ქართული ოპერის სიმბოლოს, რომელიც ერთნაირი წარმატებით ასრულებს როგორც ქართულს ისე ევროპული კომპოზიტორების საოპერო შედევრებს. ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს: არმაზ დარაშვილს, მამუკა ლომიძეს, გიორგი ლომისელს, მარიკა მაჩიტაძე, ირინა შერაზადაშვილს, ირინა ალექსიძეს, ლევან მაკარიძეს და საპრემიერო სპექტაკლში მონაწილე ყველა მომღერალს. გამოცემულია „დაისის“ კლავირი და პარტიტურა, ოპერა ჩანერილია გრაფიკულად და გადართულია ფილმი.

დიდი მადლობა გაზეთ „შირაქს“, რომ შესაძლებლობა მომცა გამომეთქვა ჩემი აზრი უკვდავი ოპერა „დაისის“ შესახებ და დიდი მადლობა პირადად თქვენ, რომ ასეთი ერთგული გულშემოტიკი ხართ ჩვენი ოპერის თეატრის“.

ნანა ჭიჭინაძე

„რინიდან“ – „ხორნაბუჯამდე“

15 მაისი იმ თარიღად ჩაინერგა საქართველოს და კონკრეტულად ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრების ისტორიაში, როდესაც ლიტერატურული ხიდი გაიღო საქართველოს უკიდურეს დასავლეთსა და უკიდურეს აღმოსავლეთს შორის. ამ ხიდის გადებასა და გაძლიერებაში კი განსაკუთრებული წვლილი სწორედ ორი შესანიშნავი ლიტერატურული ჟურნალის/ალმანახის ერთობლივ მუშაობას ეკუთვნის.



ჟურნალ „რინის“ რედაქტორის შესავალ სიტყვას, რომელიც ბოლო ნომერშია დაბეჭდილი: „ჟურნალი „რინა“ 1968 წლიდან გამოდის. მისი გამოცემა დაიწყო ქალაქ სოხუმში. ჟურნალის დაარსების ინიციატორები იყვნენ აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მწერლები. „რინამ“, როგორც აფხაზეთში დაბადებულმა, ისევე იწვინა დევნილის მწარე ხვედრი, როგორც ასიათასობით ჩვენმა თანამემამულემ. თუმცა, მისი გამოცემა არ შეწყვეტილა და 30 წელია, რაც თბილისში გამოდის. „რინის“ დანიშნულება და მიზანი თავიდანვე იყო ქართული სამეცნიერო და მხატვრული აზროვნების ავანგარდში ყოფნა. რასაკვირველია, ჟურნალში იბეჭდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ავტორები, თუმცა, ყველა რედაქტორი, თავისებურად ცდილობდა, გადმოეცა თანდართული ეპოქის სულისკვეთება.

2020-დან 2023 წლამდე გამოვიდა ჟურნალ „რინის“ ცხრა ნომერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟურნალი გამოდის წელიწადში სამჯერ. ყველა ნომერს აერთიანებს საერთო თემატიკა, რომელიც ძირითადად აფხაზეთის თემასთანაა კავშირში, რაც ლოგიკურია. ჟურნალი „რინა“ საზოგადოებრივ-ლიტერატურული მიმართულებისაა, რაც განსაზღვრავს კიდევ მის შინაარსს, მის რუბრიკებს.



ციატივით დაარსებული ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯი“ გამოიცემა 2015 წლიდან. ბატონი გიორგი არის ალმანახის უცვლელი რედაქტორი. „ხორნაბუჯი“ წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემას და მისი ფინანსური მხარდაჭერით გამოდის. ისევე, როგორც „ხორნაბუჯის“ ყველა მკითხველს, მე მიმაჩნია, რომ ალმანახი ჩვენი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემაა და იგი გამორჩეულად მაღალი მხატვრული ღირებულებებისაა. „რინა“ არ ღალატობს ნახევარ საუკუ-

ქსის მაგიური ძალით ისე გადმოსცეს ის ემოციური კავშირი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რომ დარბაზი თითოეულ მათ გამოსვლას მხურვალე აპლოდისმენტებით ავიღოვებდა. აფხაზ კოლეგებს მხარი არ ჩამოუგდეს ქიზიყელმა შემოქმედებამაც. საზოგადოებას თავისი დიდებული და შეუდარებელი გამოსვლით კვლავ შეახსენა თავი თამაზ ნიკლაურმა, სულშიჩამწვდომი პოეზიით მსმენელს უფრო მეტად შეაყვარა თავი მარიამ ტონიშვილმა, მათ არც პოეტებსა თამარ (თამთა) ნასრაშვილი ჩამორჩა.

შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ და წარდგენა საკმაოდ დადებითად შეაფასეს დედოფლისწყაროს მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ თამაზაშვილმა, დედოფლისწყაროს საკრებულოს განათლების კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ბახუტაშვილმა და დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის პიარ სპეციალისტმა ლალი მეხრიშვილმა.

გარდა ამისა, ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ადგილობრივი შემოქმედი ჯგუფები: ვოკალური ანსამბლი „ხორნაბუჯი“ (ხელმძღვანელი, ლექსო გრემელი) დედოფლისწყაროს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საპატრიარქოს სკოლა-ინტერნატის მგალობელთა გუნდი (ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი), ხელოვნების სკოლის აღსაზრდელთა (ხელმძღვანელი: ლალი ელისაშვილი, მარიამ კიკლაშვილი). მათი თითოეული, ემოციური და გულშიჩამწვდომი გამოსვლა მოწვეული სტუმრების თვალზე ცრემლის კვალს ტოვებდა. მიხვდებოდით, რომ ღონისძიებამ საკმაოდ ემოციურად და აღმატებულ ნოტაზე ჩაიარა.

ღონისძიების ბოლოს, ჟურნალ „რინის“ რედაქტორმა დამსწრე საზოგადოებას თავად გადასცა ახალი ჟურნალი. ახლა ამ ორივე ჟურნალს რომ ვუყურებ და ვკითხვობ, სიამაყის გრძობით ვივსებ, რადგან ორივეს ფურცლებიდან მიმზერენ შემოქმედი ადამიანები და მეუბნებიან, რომ საქართველო აქ, და ახლა ერთიანია, შორეული აფხაზეთიდან შორეულ ქიზიყამდე. ეს მთლიანობა იგრძნობა მათ შემოქმედებაში, მათ თითოეულ სიტყვაში, გამოსვლაში, სიტყვასა და სიყვარულით სულშებერილ მოფერებაში. ეს სიყვარულია სწორედ გამაერთიანებელი და დღეს ჩვენ, „ხორნაბუჯელებს“ და მათ „რინელებს“, ამის გვეუბრა. სწორედ ამიტომ, ვიცხოვროთ, ვიღვანოთ, ვიბრძოლოთ „რინიდან“ „ხორნაბუჯამდე“.

შაჰუნა ყანაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის დარბაზში შეკრებილი საზოგადოება, სწორედ ამ კოლაბორაციის მომსწრე გახდა. ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯისა“ და აფხაზეთის ლიტერატურულ ჟურნალ „რინის“ (რედაქტორი - ნანა ქარდავა) ერთობლივ წარდგენას, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტში მოღვაწე პოეტები, მწერლები, ხელოვნების სფეროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ღონისძიებას უძღვებოდა მწერალი, ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი და ახალგაზრდა პოეტი მარიამ ტონიშვილი.

შესავალი სიტყვით საზოგადოების წინაშე, ჟურნალ „რინის“ რედაქტორი, ნანა ქარდავა წარსდგა. მან ისაუბრა არამარტო ჟურნალ „რინის“ დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზე, არამედ ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ როლზეც. მან მადლობა გადაუხადა გიორგი ნატროშვილს აზრების, იდეებისა და შემოქმედი ხალხის ნამუშევრების ურთიერთგაზიარებისთვის. „რინამ“ 14 დედოფლისწყაროელი ავტორის შემოქმედება დაბეჭდა ჟურნალში, რომელიც მისივე განმარტებით, „ერთმანეთზე უკეთესი ნაწერი აღმოჩნდა“. მან აღნიშნა, რომ „სიამოვნება იყო ასეთი ნაწერების კითხვა და ტექსტთან მუშაობა“. გათავაზობთ

აქ იბეჭდება პროცა, პოეზია, პუბლიცისტიკა, სამეცნიერო ნაშრომები. სახელგანთქმულ შემოქმედთა გვერდით, რუბრიკაში „დებიუტი“, წარმოვაჩენთ ახალგაზრდა, დამწყებ მწერლებს. ნომრის ყდაზე, ტრადიციულად იბეჭდება ერთი მხატვრის ოთხი ნამუშევარი. სხვადასხვა დროს ბევრი დევნილი მხატვარი წარმოვაჩინეთ. ამ ნომრის მხატვარია ქალბატონი ბელა ლობჯანიძე. მხატვარი ჟურნალის ამ ნომრის მიმართულებასთან კავშირში შევარჩიეთ. ეს ნომერი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ორი ჟურნალის „ხორნაბუჯისა“ და „რინის“ ერთგვარ კოლაბორაციას წარმოადგენს. მწერალ გიორგი ნატროშვილის ინი-



ციანი ტრადიციებს და ჟურნალის პოპულარიზაციისთვის ახლა ფიროსმანის სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. წარმატება „რინას!“ წარმატება „ხორნაბუჯის!“ მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ციცი გურიელი - პროზაიკოსი, თათული რუხაძე - ჟურნალ „რინის“ ერთ-ერთი რედაქტორი, მაია მიქაია - სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ნანა შენგელია - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კულტურის სამსახურის უფროსი, ნინო მამია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის დეკანის მოადგილე. მათ საუთარი შემოქმედებით, სიტყვის და ლე-

პოეზიის საღამო და გიგლიოთეკის იუბილე ზემო მაჩხაანში

ზემო მაჩხაანის ბიბლიოთეკამ საიუბილეო 100 წლისთავთან დაკავშირებით ღონისძიება გამართა. პარალელურად ჩატარდა ზემო მაჩხაანის სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლის ნინო ახალაძის პოეზიის საღამო და მისი კრებულის „სიზმარცხადი“ პრეზენტაცია. „ღონისძიება სოფლის ბიბლიოთეკის დაარსების 100 წლისთავს ეძღვნებოდა, საღამო ბიბლიოთეკარ ეთერ ტოკლიკიშვილის ინიციატივით ჩატარდა. აქტიურად ჩაერთვნენ კულტურის სახლის თანამშრომლები, სკოლის მოსწავლეები. საღამო

საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა. ბავშვებმა წარადგინეს ცეკვისა და სიმღერის ნომრები. ნაიკითხეს ლექსები. ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა იმართებოდეს! კეთილშობილურ საქმეს ვემსახურები, მასწავლებლობა ჩემი საყვარელი პროფესიაა, მოსწავლეთა ანთუელი თვალზე აუწონავი გრძნობაა. ეს ჩემს ლექსებშიც ჩანს. სასკოლო ღონისძიებებს ხშირად ვმართავთ, მაგრამ ეს სოფელთან ჩემი პირველი თანამშრომლობა იყო. სოციალურ ქსელში აქტიურად ვაქვეყნებ ჩემს ლექსებს, თუმცა უახლოეს

გეგმებში კიდევ ერთი კრებულის გამოცემაზე ვფიქრობ.“ – უთხრა „შირაქს“ კრებულის ავტორმა ნინო ახალაძემ. ბიბლიოთეკა საიუბილეო თარიღს დოკუმენტის გარეშე აღნიშნავს, თუმცა „შირაქმა“ გამოაქვეყნა ოქმი, სადაც ჩანს, რომ ზემო მაჩხაანში ბიბლიოთეკა-სამკითხველო 1913 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსდა და 110 წლის გამოდის.



ისტორიული მსოფლიო ჩემპიონატი ქართული ძიუდოსთვის!

ქართველები დამოუკიდებელი საქართველოს დროში, ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე, პირველად 1993 წელს კანადაში, ჰამილტონში გამოჩნდნენ და მომდევნო 30 წლის მანძილზე, ასეთი საოცარი მონაგარი არასოდეს ჰქონიათ. 2023 წლის მაისში, კატარის დედაქალაქ დოჰაში, ალი ბინ ჰამად ალ-ათიაჰის არენაზე, საქართველოს ეროვნული ჰიმნი ორჯერ აუღერდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველად ისტორიაში, ძიუდოს მსოფლიო პირველობაზე, ორი ჩემპიონი გვყავს.

რა მოხდა ჰიმნის ორჯერ აუღერებამდე?

საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების წევრებმა ლაშა ბექაურმა და ლუკა მასურაძემ (ორივე - 90 კგ.) კატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე დილის სესია დაუმარცხებლად განუღეს და საღამოს ერთმანეთს ფინალში დაუბრისპირდნენ. 22 წლის ლაშა ბექაური პირველ რაუნდში თავისუფალი იყო, მეორეში კი ტაჯიკ კომრონოზ უსტოპირიონს იპონით აჯობა. მერვედფინალში ქართველი ძიუდოსტის მეტოქე მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონი ნემანია მაიდოვი იყო, თუმცა, ლაშას არც მისი დამარცხება გასჭირვებია. სერბს 2 შიდო მიაღებინა და ვაზარიზეც დააგდო. ბექაურს მეოთხედფინალში ასევე ძლიერი მონინალმდევე ჰყავდა მანსურ ლორსანოვის სახით. რუსი ძიუდოსტი მისი თანამემამულეების მსგავსად, მსოფლიოს პირველობაზე ნეიტრალური ინდივიდუალური ათლეტის რანგში გამოდიოდა და 3 გამარჯვებაც იხიმა, თუმცა, ლაშასთან ვერაფერს გახდა. ბექაურმა ის ვაზარიზე 2-ჯერ დააგდო. ნახევარფინალში ბექაური იპონით სანშირო მურათის გადაეყარა და მართალია, ვაზარიზე დაეცა, შემდეგ მეტოქე ვაზარიზე 2-ჯერ თავად დასცა.

25 წლის მასურაძე ტურნირში ასევე მე-2 წრიდან ჩაერთო და უნგრელი როლანდ გოზი ვაზარიზე 2-ჯერ დააგდო. მერვედფინალში ლუკას მონინალმდევე თურქეთის სახელით მოსაპარეზე მიჰაელ ზგანკი იყო და ქართველი ძიუდოსტის უპირატესობა ამ შემთხვევაშიც აშკარა იყო: ვაზარის იპონი მიაყოლა. მეოთხედფინალში მასურაძისა და ნიდერლანდელი ნიულ ვან ტ ენდის დაპირისპირება „გოლდენ სკორში“ გადავიდა, სადაც მეტოქემ მე-3 შიდო მიიღო. ნახევარფინალში მასურაძე იტალიელ კრისტიან პარლატის შეხვდა და ვაზარის წყალობით აჯობა. ფინალურმა ბლოკმა სტარტი თბილისის დროით 19:00 საათზე აიღო და ამგვარად, სულ ბოლოს მსოფლიო საზოგადოებამ

ქართული ფინალი იხილა. დაძაბულ ორთაბრძოლაში ლუკა მასურაძემ ლაშა ბექაურს სძლია და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ვიცე-ჩემპიონობასკი ლაშა ბექაური ვერცხლის მედლით დაეუფლა.

ალანშიშნავი და ნამდვილად საამაყოა, რომ კატარის დედაქალაქ დოჰაში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, შერეულ გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველებმა მესამე ადგილისთვის დაპირისპირებაში გერმანიის ეროვნულ გუნდს ანგარიშით 4:2 სძლიეს. ჩვენი ნაკრებიდან შეხვედრები ლაშა შავდათუაშვილმა (73კგ), ლაშა ბექაურმა (90კგ), გურამ თუშიშვილმა (+100კგ) და ეთერ ლიპარტელიანმა (57კგ) მოიგეს.

მამაკაცებს შორის გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა ისტორიული შედეგი დააფიქსირა და მსოფლიო ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა. პირველი არხის გადაცემა „ტაიმსუტს“ სტუმრობდა საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯანი. მან მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი ძიუდოსტების გამოსვლა შეაფასა. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა პირად ჩათვლაში ორი ოქროს, თითო-თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, გუნდურ შეჯიბრებაში კი მესამე ადგილი დაიკავეს. ჩვენთვის ორმაგად საამაყოა, ის ფაქტი, რომ 5 მედლიდან 2 დედოფლისწყაროელს ეკუთვნის.

„უპირველესად, ვისარგებლებ შემთხვევით და ყველას მიულოცავ ამ გამარჯვებას. რაც შეეხება მიზნებს, ყოველთვის, სადაც მივდივართ, ვცდილობთ, უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ. ორი ოქროს მედალი საოცრებო შედეგია. ამ წარმატების საფუძველი იყო ისარდალაშვილის გამოსვლა. პირველ დღეს მან იჭიდავა და მისი მოპოვებული ბრინჯაოს მედალი გადაწყვეტი იყო ამ წარმატებაში. ეს იყო პირველი პირველი მედალი და პირველი ემოცია. მისმა გამოსვლამ დაგვანახა, რომ ოქროს მოპოვებაც შეიძლებოდა. ეს გიორგისთვის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო და მისი ასაკიდან გამომდინარე ოქროს ტოლფასი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.“

მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი გამოსვლა იმის ნიშანია, რომ ოლიმპიადებზე წარმატებით ვისაპარებებით. შემადგენლობის ძირითადი ბირთვი შენარჩუნდება, თუმცა არ არის გამორიცხული ახალი სახეები კიდევ გამოჩნდნენ. გუნდში ჯანსაღი კონკურენცია და ესაა წარმატების საწინდარი. კონკრეტულ მომენტში ვინც უკეთესი იქნება, ის იჭიდავებს. ქართული ძიუდო არის იქ, სადაც

უნდა იყოს. ეს მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. მომავალში ვფიქრობ, რომ საშუალო შედეგი აღარ იქნება გულშემატკივრისთვის დამაკმაყოფილებელი. სხვა მალა შემიძლია ვთქვა, რომ დღეს საქართველოს ნაკრები არის მსოფლიოში პირველი გუნდი. პირდაპირი შეფასებით შემიძლია, ამ წარმატების მთავარი მიზეზი დავასახელო: ინოვაციურმა პროექტმა „2020“ შექმნა ის თაობა, რომელსაც დღეს ყველა ტაშს უკრავს. ამასთან, არაერთი პროექტია დაგეგმილი, რომელსაც დავით ქეზიშვილი სათავეში უდგას. ვფიქრობ მომავალი პროექტები 2024, 2028 უკეთესი იქნება. ქართველები უნიჭიერესი ხალხი ვართ“.

ამავე გადაცემაში სტუმრობისას საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა, გიორგი ათაბეგაშვილმა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამოსვლა შეაფასა. ამასთან, ათაბეგაშვილმა განაცხადა, რომ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მხრიდან არის შემოთავაზება 2024 წელს, ოლიმპიადამდე, მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს დედაქალაქში ჩატარდეს.

გიორგი ათაბეგაშვილი: „პირველ რიგში, მინდა, მელობა გადაუხადო ქართველ ქომავს იმ ემოციისა და თანადგომისთვის, რომელსაც მთელი ტურნირის განმავლობაში ვგრძნობდით. ასევე, მაძლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ტიტანური შრომა გასწია, რომ გუნდს ასეთი შედეგისთვის მიეღწია. ეს შრომა დაფასდა და მივიღეთ სარეკორდო და ისტორიული შედეგი. პირველად ისტორიაში გავედით პირველ ადგილზე პირად-გუნდურ შეჯიბრებაში. პირველად ექვსი წლის შემდეგ, რაც გუნდური შეჯიბრება შერეული გახდა, მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ, რაც ასევე ისტორიული შედეგია და კიდევ უფრო დაუახლოვდით 2024 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებს.“

ამას გარდა, 90 კგ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი შედგა, რაც ამ წონაში არასდროს მოხდებოდა, თუ არ ჩათვლით იაპონიას, რომელიც დაბალ წონებში ხშირად ახერხებს ფინალში გასვლას და ერთადერთხელ ყაზახეთის წარმომადგენლებმა მოახერხეს ასევე დაბალ წონაში. მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული ორი ოქროს მედალი ისტორიული შედეგია, აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეხუთედ მოახერხა მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლის მოპოვება.



წარმატებას შერეულ გუნდურ შეჯიბრებაშიც ველოდით. იშვიათად ნახავთ ისეთ მოტივირებულ და შედეგებზე ორიენტირებულ გუნდს, როგორც საქართველოს ნაკრები იყო დოჰაში. მინდა, განსაკუთრებით გოგონების წარმატება აღვნიშნო, რომლებმაც მონოლეთის ნაკრებთან სასწაული მოახერხეს — სამივემ დადებით შედეგი აჩვენა და გუნდს მისცა იმის მოტივაცია, რომ ასეთი წარმატებისთვის მიეღწია.

შემიძლია ვთქვა, რომ დღესდღეობით ჩვენი გუნდი მსოფლიოში საუკეთესოა. ჭიდაობის ის სტილი, რომელიც ჩვენ გვაქვს, გამორჩეულია, რასაც ყველა აღიარებს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციიდან გვაქვს შემოთავაზება, რომ გაისად, ოლიმპიადამდე, საქართველომ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს. იმედი მაქვს, როგორც არაერთგზის ყოფილა, ახლაც გამოინახება შესაბამისი რესურსი და მხარდაჭერა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან და ერთად გავხდებით ამ დიდი ფორუმის მასპინძელი და მონაწილე.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, ახალი დარბაზი, სადაც თბილისის გრანდ სლეში ჩავატარებთ („თბილისი არენა“), საცხებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას სჭირდება, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მზად ვართ, დანარჩენი კი საორგანიზაციო ხარჯებთან არის დაკავშირებული. იმედს ვიტოვებთ, რომ ყველაფერი დადებითად გადაწყდება და საქართველო ამ უდიდესი ფორუმის მასპინძელი გახდება“.

მომაზადა შუშუნა ყანაშვილი

სამუშაოში გახსენება 15 წლის შემდეგ...

ემიგრანტის მრავალწლიანი რთული ცხოვრება დასრულდა – იტალიის ქალაქ ტრიესტეში თანამემამულეებმა გამოსამშვიდობებელი პოეზიის საღამო მოუწყვეს არბოშიველ ემიგრანტს მარინა ჭუმბურიძეს, რომელიც 10 წინის ავტორია, 15 წელი ემიგრანტი იყო, საიდანაც 10 წელი ამ ქალაქში იცხოვრა. როგორც პოეტმა „შირაქს“ განუცხადა, 30 მაისს სამშობლოში ჩამოვა, რადგან მისი მიზანია მშობლიურ სოფელ არბოშიკს დაუბრუნდეს.

ლონისძიებთ ქართველი ემიგრანტების ინიციატივით და ფონდი „Sant'Egidio“-ს პრეზიდენტის პაოლო პარიზინის მხარდაჭერით მათივე ოფისში ჩატარდა. საღამოზე სიტყვით გამოსულმა გურანდა თავართქილაძემ სტუმრებსა და მასპინძლებს ქართული დამწერლობისა და ხელოვნების ისტორია გააცნო. ისაუბრა ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და სხვა ქართველ ცნობად ადამიანებზე.

პოეზიის საღამომ საინტერესო, თბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მარინა ჭუმბურიძის ლექსები ნაიკითხვს საღამოს სულისჩამდგმელმა ლანა ლომჯარიამ, პოეტის დამ ლაურა ჭუმბურიძემ, ხატია კობაძემ, დარეჯან მჭედლიშვილმა, ნუნუ ბოჭორიშვილმა, თამარა კაპანაძემ და გუგა ათუაშვილმა. პოეზიის საღამოს ამშვენებდა ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ალექსანდრე ჯარიაშვილის აკომპანემენტი ფორტეპიანოს თანხლებით. სასიამოვნო მოსასმენი იყო პაოლო პარიზინის მიერ გიტარის თანხლებით შესრულებული „ქარი გიმლერის ნანასა“, რასაც სიამოვნებით აჰყვა მთელი დარბაზი. ქალაქის ყოველდღიურმა გაზეთმა „Il piccolo“-მ



და ადგილობრივმა ტელეარხმა შთამბეჭდავად გააშუქა ჩვენი ლონისძიება, საღამოს დასასრულს პოეტმა ისევ ნაიკითხვა საკუთარი ლექსები და მადლობა გადაუხადა ლონისძიების ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას ასეთი ლამაზი შეხვედრისთვის. დასასრულს, ქართველ და იტალიელ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული სამზარეულო.

პოეტი მარინა ჭუმბურიძე „შირაქს“ ეუბნება, რომ გამოსამშვიდობებელი საღამო სიურპრიზი აღმოჩნდა მისთვის.

მარინა ჭუმბურიძე: „ჩემთვის ეს სიურპრიზი იყო, არ ველოდი. ყოველგვარი რეპეტიციების გარეშე ჩატარდა. ორგანიზატორები იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ლტოლვითა თავმჯდომარე ცხოვრობენ და თან ამ ფონდში მოღვაწეობენ. ბავშვებიც თან ახლდათ, რადგან დამტოვებლები არ ჰყავდათ. ეს ფონდი ბევრ კეთილშობილ საქმეს აკეთებს. ფინანსუ-

რად ეხმარება როგორც უცხოელებს, ისე იტალიელებს, აწყობს იუბილევებს, თუ სხვა დღესასწაულებს. ყველას ეხმარება ეს ფონდი იმ კუთხით, რამ იმ მომენტისთვის საჭირო და აქტუალურია ადამიანისთვის. გვესწოდებოდა ქართველი დედები, ვინც იტალიაში ლტოლვილად ჩაბრუნდნენ. ფონდმა მისცა თავმჯდომარე, სადაც ცხოვრების ნორმალური პირობები აქვთ. ფონდი ასევე ეკონტაქტება დასაქმების სააგენტოებს და სთავაზობს სამსახურებს. აქეთ კვება, ტანსაცმელი, ყველაფერს ფონდი უზრუნველყოფს. ადგილობრივმა გაზეთმა და ტელევიზიამაც გააშუქა ეს ლონისძიება. ერთი სიტყვით, ბედნიერი დღე მაჩუქეს. იტალიელი პოეტების ემოციები და სიბორო არ დამავიწყდება. ლექსის ნაკითხვამდე იტალიურად ვუხსენიდი, თუ რას ეხებოდა ლექსი და ძალიან კმაყოფილები დარჩენი სტუმრებიც და მასპინძლებიც. პატარა დარბაზი იყო, მაგრამ ზღვა სიტბო წამოვიდა. ავადმყოფობა და ასაკი აღარ მაძლევს გზის გარქვების ნებას და მინდა ცოტა მაინც მოვასწრო კიდევ რამე ჩემს საძვალეში. ამიტომ საპარტიკული ღაბრუნების გადაწყვეტილება მივიღე. სიბერე ძირითად წლებს ჩემს არბოშიკში გავატარებ! სოფალს უნდა დაუბრუნდეთ!“

არბოშიკს მარინა ჭუმბურიძის არაერთი საღამო ახსოვს. იმედია, მისი დაბრუნება ბევრად გამოაცოცხლებს სოფლის ცხოვრებას.

ილია მარტყოფლიშვილი



ინკლუზიური სწავლება პრიორიტეტია, რამაც მიმღებლობა გაზარდა

საზოგადოებაში ინკლუზიური განათლების მნიშვნელობის ცნობიერების ასამაღლებლად, 13 მაისს, ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლის ლალი ნატროშვილის ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება: „ინკლუზია ყველგან, ყველასთვის და ყოველთვის!“. როგორც აღინიშნა, მათი მიზანია საზოგადოებაში გაიზარდოს ასეთი ადამიანების მიმღებლობა.


ღონისძიების მხარდასაჭერად დედოფლისწყაროში ჩამოვიდნენ ქართველი სპორტსმენი მკლავჭიძე, შვიდგზის მსოფლიო და ექვსგზის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო Top 8 ჩემპიონატის გამარჯვებული **ლევან საგინაშვილი** (ჰალკი); ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პრაიმ შოუს“ წამყვანი ნინო ნადირაძე-კუზანოვა მეუღლესთან, ივა კუზანოვთან ერთად და ყველასათვის საყვარელი დათი ქოქრაშვილი ოჯახით. კონცერტს მხარს უჭერდნენ ოლიმპიური ჩემპიონი **ლევან ბაქაშვილი** და მომღერალი **ზურა ხაჩიძე**, რომელთაც ჩამოსვლა ვერ შეძლეს. არხილოს-კოლოელი ოლიმპიური ჩემპიონი დოჰაში, მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფებოდა.

სცენაზე დადგნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, ხოლო მეექვსე კლასელმა **თამარ ზორიძემ** ემოციურად შეასრულა მისი საყვარელი მომღერლის, ზურა ხაჩიძის სიმღერა. როგორც თამარის დედამ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ის ოცნებობს, გახდეს ცნობილი მომღერალი.

„ორი წლიდან მღერის, თვითონ გაუჩნდა სურვილი, ხშირად უსმენდა სიმღერებს და შემდეგ ასრულებდა. არ უვლია პედაგოგებთან, ყველაფერი და-

მოუკიდებლად შეძლო. უნდა, გახდეს ცნობილი და პოპულარული მომღერალი, ამაზე ოცნებობს. ძალიან უყვარს ზურა ხაჩიძე, ირმა სოხაძე. ვნახოთ, იმედია დასახულ მიზანს მიაღწევს. ოჯახშიც მსიხმარებლად ხელს ვუწყოთ, რომ მისი ინტერესი დავაკმაყოფილოთ და მხარში დავუდგეთ. სანათესაოში სიმღერის მონაცემები არავის არ გვაქვს, ამიტომ საიდან აქვს ბავშვს ეს ინტერესი, ვერ გეტყვით. ასეთი ნიჭიერი დაბადა,“ – აღნიშნავს მშობელი ანა ჩადუნელი.

ლალი ნატროშვილი (ორგანიზატორი): „ინკლუზიური განათლების და ცნობიერების განვითარება როგორც




სკოლებში, ისე საზოგადოებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ყველანი საზოგადოების ნაწილი ვართ და უნდა გვეკონდეს წარმოგვინა, რასთან გვაქვს საქმე, რა არის ინკლუზია. თუ მისი მნიშვნელობა არ გვეცოდინება და ბოლომდე არ გავიარებთ ამ პრობლემას, ასეთი ადამიანების მიმღებლობა ნაკლები იქნება. ამის ხელშესაწყობად ხშირად უნდა მოეწყოს ამგვარი ღონისძიებები, ფართო მასშტაბით უნდა ნახონ ისინი სცენაზე და კონკრეტული მაგალითებით გაიცნონ ეს პრობლემა. ასე ავამაღლებთ ცნობიერებას და გავზრდით საზოგადოებაში მიმღებლობას. დღეს ჩვენი ეს მიზანი მიღწეულია და ბედნიერი ვარ.“

ქრისტინე მამუკაშვილი (დათის დედა): „გაგვიხარდა, რომ დედოფლისწყაროში მოგვიწვიეს. სასიამოვნო საღამო იყო და ამავდროულად ემოციური, ცრემლების გარეშე ვერ ვუყურებდი. ჩემთვის ძალიან ახლობელი გახდა ეს თემა და მიხარია, რომ ბოლო წლებში საზოგადოების ცნობიერება ბევრად ამაღლდა ამ მიმართულებით. აშკარაა, რომ



ინკლუზიური განათლების განვითარება პრიორიტეტი გახდა ამ ქვეყანაში და ჩემი ოჯახიც მხარს უჭერს ამას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩვენც ინკლუზიურ სწავლებაში ჩავერთეთ და დავინახეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს. ვფიქრობ, ბევრად დასაფასებელია, როდესაც რეგიონებში და ჩვენთვის უცხო მხარეში გვიწვივენ და ამ თემის ირგვლივ ყურადღებას გამოხატავენ. პირველად ვართ დედოფლისწყაროში, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სიყვარულით მიგვიღეს.“

ნინო ნადირაძე-კუზანოვა: „პირველად ვარ დედოფლისწყაროში ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვალიარო, რომ ულამაზესი ადგილია, თბილი ადამიანებით და საოცარი ბავშვებით. ცრემლების გარეშე ვერ ვუყურე გამომსვლელებს.



როდესაც სამედიცინოზე ვაბარებდი, ვერ შევძელი ბავშვთა პედიატრი ვყოფილიყავი, რადგან ბავშვების ტკივილი და მათ თვალზე ცრემლი ჩემთვის გაუსაძლისია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათი ბედნიერებისთვის. მშობლებმა შეიძლება უნდა ვასწავლოთ, რომ ნებისმიერი პრობლემის მქონე ბავშვი უნდა მივიღოთ.“

თამარ ტყეშელაშვილი (განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრი კახეთში): „ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ერთის მხრივ ვითვლები მასპინძლად და ამავე დროს სტუმარი ვარ ასეთი ლამაზი ღონისძიების. დედოფლისწყარო ჩემი სამოქმედო ტერიტორიაა და ინკლუზიური განათლების განვითარება ამ რაიონში ჯერ კიდევ 10 წლის წინ დავიწყე. ამ ღონისძიებაზე შევხვედი ჩემი დაწყებული საქმის შედეგს, ჩემი რეკომენდაციით შერჩეული სპეც-მასწავლებლების მუშაობას. ისინი ამ გზას ღირსეულად აგრძელებენ. დღეს იყო ინკლუზიური განათლების ზეიმი. დავრწმუნდი, რომ თურმე ტყუილად არ მიცხოვრია. დედოფლისწყაროს ჰყავს სამი წამყვანი სტატუსის მქონე სპეცმასწავლებელი, ეს ცოცხალი არ არის.“

ნათია ოთარაშვილი (დედოფლისწყაროს №1 სკოლის დირექტორი): „გასულ წელს 4 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე გვყავდა, მეორე სემესტრიდან კიდევ ერთი მოსწავლის შეფასება მოახდინა მულტიდისციპლინურმა გუნდმა და ამჯერად 5 გვყავს, ყველა მათგანი მონაწილეობდა ამ კონცერტში, ზოგმა იმღერა, ზოგმა იცეკვა, ზოგმა ცეკვი წაიკითხა. გასულ წელს 6 სსმ მოსწავლე გვყავდა, ერთმა 12 კლასი დაამთავრა, ერთიც სხვა სოფელში გადავიდა.“

ანსამბლ „ქიზიყის“ აღიარება

სიღნაღი-დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ქიზიყის“ დაპირებული ჯილდო გადასცეს. გასულ წელს გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა, რომ მათთან სპეციალისტები იმყოფებოდნენ, რომელთაც ანსამბლის მუშაობის ხარისხი სოფლებში ადგილზე შეამოწმეს და დადებითი შეფასების ნიშნად „ოქროს არწივი“ გადასცეს. მაშინვე ითქვა, რომ ანსამბლი საუკეთესო რეგიონულ ანსამბლებს შორის მოხვდებოდა და დასკვნით კონცერტზე მიიღებდა მონაწილეობას. ამჯერად ახალგაზრდა შემოქმედთა ფედერაციამ დაჯილდოების ცერემონია „ოქროს ხალიჩა“ ქალაქ მცხეთის კულტურის ცენტრში 14 მაისს გამართა. ანსამბლის ქორეოგრაფს თამაზ ღვალაძეს ოქროს ორდენი გადასცა.

თამაზ ღვალაძე (ანსამბლ „ქიზიყის“ ხელმძღვანელი): „საღამომ კარგად ჩაიარა. სხვადასხვა რაიონებიდან იყვნენ რჩეული ანსამბლები წარმოდგენილი და საკმაოდ მაღალი დონის კონცერტი გამოვიდა. ყველა კმაყოფილი დარჩა. დამაჯილდოვეს ოქროს ორდენით, ხოლო ბავშვები მედლებით და დიპლომებით. კონცერტის ბოლოს იყო

მცირე ალაფურშეტი, სადაც ქორეოგრაფებმა აღნიშნეს ანსამბლების წარმატებული გამოსვლა. ჩვენი მსერულე ბული ნომრებიც საკმაოდ დადებითად შეაფასეს და ნამუშევარი შეგვიქვს. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო შემოქმედებითი ზრდის თვალსაზრისით. დედოფლისწყაროდან 15 ბავშვი იღებდა მონაწილეობას და ორი ნომერი წარვადგინეთ.

ავგისტოში ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მივდივართ, სადაც ფესტივალში მივიღებთ მონაწილეობას და ჩავატარებთ სოლო კონცერტს. ამისთვის მონდომებით ვემზადებით. მანამდე, ივნისში დაგეგმილი გვაქვს გურჯაანის კულტურის სახლში სოლო კონცერტი. შემდეგ პატარა ქიზიყელები ქობულეთში მიემგზავრებიან ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

აქვე აღვნიშნავ, რომ მათთვის დებიუტია და პირველად წარსდებიან მაყურებლის წინაშე. ხოლო უკვე გამოცდილი ბავშვები ავგისტოში უფრო ფართო ასპარეზზე გავლენ და ბულგარეთში დაგეგმილ ფესტივალ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. ამჟამად წარები გვაქვს ქალაქ დედოფლისწყაროში, ეპარქიის სკოლაში, ასევე სოფლებში არბოშიკში, ოზაანსა და ახლა უკვე გამარჯვებულნიც.

მირზაანელები და მაჩხაანელებიც დადიან ჩვენთან, თუმცა ზემო მაჩხაანში რეპეტიციებს აღარ ვატარებთ.“

აკო ბოსტაშვილი (მშობელი): „ცეკვაზე დავდივართ 4 წლის ასაკიდან, უკვე მეშვიდე წელი დაინყო. ზოგადად, ხელოვნება, განსაკუთრებით ცეკვა ძალიან გვიყვარს და დიდი მიზანი გვაქვს, გახდეს სახელგანთქმული მოცეკვავე. ამიტომ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ. ფედერაციამ რეგიონებიდან ანსამბლები ამოარჩია, გაიმართა კონცერტი, დაჯილდოვდა ანსამბლები ოქროს მედლით, ასევე ანსამბლის წევრები

ბი მედლებით. როდესაც ადამიანი ამხელა შრომას დებს და ეს უფასდება, რა თქმა უნდა, ყველასთვის სასიხარულოა. ამ ჯილდოსთვის ყველა ერთად ვიბრძვი, სპეციალისტი როდესაც ძლიერია და წარმატებას აღწევს, ლოგიკურია მშობლებსაც და ბავშვებსაც მეტი მოტივაცია გვაქვს. ეს აღიარება უფრო მეტი შანსია წინსვლის და წარმატების. რაც მეტი წარმატება ექნება ანსამბლის ხელმძღვანელს, ამ შემთხვევაში თამაზს, ჩვენ მეტად მოტივირებული ვიქნებით. ვფიქრობ, ამიერიდან მეტი პერსპექტივა გვაქვს.“

ლია ბაბიაშვილი (მშობელი): „რა თქმა უნდა, ძალიან საამაყოა ანსამბლ „ქიზიყის“ ყველა წევრისთვის და მათი მშობლებისთვის, რომ მცხეთაში ჩატარდა დაჯილდოების ცერემონიალი „ოქროს ხალიჩა“, სადაც მიწვეული იყო ჩვენი ქორეოგრაფი და ბავშვები. იქიდან კმაყო-



პარეტოს პრინციპი — რა უნდა ვისოდეთ მასზე?

პარეტოს პრინციპი, ეს არის ნებისმიერი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ გამოყენებული ძალისხმევების 20% -ს მოაქვს შედეგების 80% -ი, და დანარჩენ 80%-ს - მხოლოდ 20%-ი. პარეტოს პრინციპის თანახმად, თუ სწორად შეარჩევთ მცირე რაოდენობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებს, მათი შესრულებით სწრაფად მიიღებთ მოსალოდნელი შედეგების უდიდეს ნაწილს, ხოლო უმნიშვნელო ამოცანების შესრულება შეიძლება გაუმართლებელი იყოს - მათი დიდი ნაწილი დროის ტყუილუბრალო ფლანგვა და ისინი არაფერს იძლევიან სასურველი შედეგის მიხედვით.

ამ ერთი შეხედვით მარტივმა და უცნაურმა პრინციპმა ჩვენს სამყაროზე დიდი გავლენა მოახდინა: მას იყენებენ ბიზნეს-მენეჯერები, გამოგონებლები, სპორტსმენები, მენეჯერები, ექიმები და, ალბათ, ყველა გამოხატვის გარეშე. ჩვენი ჩვეული მსოფლმხედველობა გვჩვენებს იმ აზრს, რომ ყველა მოქმედებას აქვს დაახლოებით ერთნაირი შედეგი. ადამიანები, რომელთათვისაც გადამწყვეტილების მიღებაში პარეტოს პრინციპს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მიიჩნევენ, რომ ყველა მომხმარებელს ერთნაირი შემოსავალი მოაქვს, ყველა სასწავლებელში ერთნაირ ცოდნას ვლტვობთ და ა.შ.

სინამდვილეში, პარეტოს პრინციპი 20/80 მეტყველებს იმაზე, რომ შედეგის მაქსიმუმი მიიღწევა მასზე დახარჯული მინიმალური ძალისხმევის გამოყენებით. დანარჩენი აქტივობები ფაქტობრივად უსარგებლოა. მშვენიერი მაგალითია ურთიერთობები: ჩვენი ნაცნობების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დანარჩენი კი უბრალოდ ნაცნობები არიან. ასევე ჩვენთვის კითხვისას, ფილმების ყურებისას, ზოგადად ინფორმაციის მიღებისას - ჩვენთვის სასარგებლო მიღებული ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც გვახსოვს, გვასწავლის და ცხოვრებაში გვადგება.

ნივთები? დაკვირვებისხარ, რომ სახლში, მანქანაში, ჩანთებში არსებული ნივთების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დანარჩენის სადმე შენახვა ან სულაც მოცილება შეიძლება. ასევე იქნება ეს ინფორმაცია, თქვენ მას კითხვობთ, მაგრამ თქვენს გონებაში ნაკითხულიდან მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი დარჩება: პარეტოს პრინციპი. დაფიქრდით, როგორ შეიძლება მისი გამო-

ყენება თქვენს ცხოვრებაში.

პრინციპის წარმოშობის ისტორია. XIX საუკუნის ინგლისის სხვადასხვა ფენებს შორის მატერიალური გადანაწილების კანონზომიერების შესწავლის პროცესში ეკონომისტმა ვილფრედო პარეტომ აღმოაჩინა, რომ ინგლისის მოსახლეობის 20% - ი ფლობდა ამ სახელმწიფოს სიმდიდრის 80% - ს. ამ ფაქტმა დაინტერესა და სხვა ქვეყნების მაგალითების განხილვა დაიწყო, შედეგად კი იგივე მაჩვენებლები მიიღო.

ასე იქნა აღმოჩენილი კანონზომიერება 80/20, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო დაინტერესდა მიეცა. აღნიშნულ კანონზომიერებას ყურადღება 1949 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ ზიფმა მიაქცია.

ამავე პრინციპის თანახმად, სიმდიდრის 80%-ს ფლობს მოსახლეობის 20%, ხოლო ბაზრის 80% უკავია ბაზარზე მთავარ შემსრულებლებს 20%-ს. მაგალითად, მსოფლიოს 191 ქვეყნის ჯამური მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი - ქვეყანაში მოცემულ წელს შექმნილი საბოლოო პროდუქტების და მომსახურების ჯამური ღირებულება) დაახლოებით 78 ტრილიონი აშშ დოლარია, აქედან პირველი 19 ქვეყნის (ქვეყნების 10%-ის) მშპ-ს სიდიდე დაახლ. 63 ტრილიონი აშშ დოლარია (მსოფლიო მშპ-ს ჯამური სიდიდის 91%).

ამ პრინციპში ნაკლებად მნიშვნელოვანია მიზეზ-შედეგის თანაფარდობის ზუსტი სიდიდე. ის შეიძლება იყოს 20/80, 25/70 ან მათგან მცირედ განსხვავებული თანაფარდობა. პარეტოს პრინციპის მთავარი არსი ისაა, რომ მიზეზები და შედეგები არაა პირდაპირპროპორციულად დაბალანსებული - თუ შესასრულებელია 10 ამოცანა, თითქმის არასოდეს მოხდება ისე, რომ 1 ამოცანის შესრულებას მიჰქონდეს შედეგის 10%, 2 ამოცანის შესრულებას - 20% და ა.შ. მთავარია მათგან ყველაზე მნიშვნელოვნების, ყველაზე მაღალშედეგიანების გამოჩვენება და მათზე კონცენტრირება.


განსაკუთრებით თქვენი საწარმოს გაყიდვები და შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ პროდუქტთა ასორტიმენტიდან პროდუქტების 20%-ს მოაქვს მოგების 80%, ხოლო კლიენტების 20%-ს მოაქვს მოგების 80%. შეაფასეთ თქვენი თანამშრომლები და შეიძლება გამოიკვეთოს, რომ მათ 20%-ს მოაქვს შედეგების 80%. თუ გააკეთებთ მთავარს, მოიცალებთ ყველა უმნიშვნელო საქმეს, პროდუქტსა და

ბაზარს, ნახავთ თუ როგორ გაიზრდება პირადად თქვენი და თქვენი საწარმოს საქმიანობის შედეგაობა. პარეტოს პრინციპით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ კომპანიის მომხმარებლების მხოლოდ 20% ს მოაქვს კომპანიის მთლიანი შემოსავლების 80%-ი, ხოლო დანარჩენ 80%-ი თქვენი თანამშრომლების დროს და ენერჯიას ზედმეტად იყენებენ იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავალი მათგან არც თუ ისე დიდია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არის ყოველთვის აუცილებელი, 100%-იანი შედეგისკენ სწრაფვა, დავეჯერდეთ 80%-ს, რომელზეც ჩვენი ენერჯის და ძალისხმევის მხოლოდ 20% -ი დაგვხარჯება. და დანარჩენი რესურსები უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ. ზუსტად ამაში მდგომარეობს საკუთარი შესაძლებლობების მართვის ხელოვნება.

ხშირად გვსმენია ადამიანებისგან, რომ ძალიან ბევრს შრომობენ, თუმცა შედეგი არ შეესაბამება მათ მიერ განუღებულ შრომას, რაც იწვევს მათში უკმაყოფილებას, სტრესს, დემოტივაციას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი ძალისხმევა სწორად დავხარჯოთ ყოველდღიურ საქმიანობაში. პირველ რიგში კი, იმისათვის რომ ვიყოთ წარმატებულნი, უნდა ვიყოფით წარმატებულად! ჩვენი ფიქრები და დამოკიდებულებები განსაზღვრავს ჩვენი წარმატების ხარისხს. წარმატების მიღწევაში ჩვენი გონება ყველაზე დიდი აქტივია და როგორც ყველა აქტივია მასაც სჭირდება განვითარება, სწორედ ეს არის მარტივი ქეშიპარტი - თუ გინდა იყო წარმატებული, ამისათვის სჭირია უწყვეტი განვითარება!

სამი პროცენტის წესი. არსებობს წესი, რომელიც უზრუნველყოფს თქვენს წარმატებას და მოგცემთ შესაძლებლობას გახდეთ მდიდრები - „დაბანდეთ თქვენი შემოსავლის 3% საკუთარი თავის განვითარებაში“ - ბრაიან ტრეისის ამ დიდებული რჩევის მიხედვით, თქვენ



შეძლებთ გაარმაგოთ ან გაასამაგოთ თქვენი შემოსავალი. ეს რჩევა მუშაობს ყველასთვის, არ აქვს მნიშვნელობა ხართ დასაქმებული თუ ბიზნესმენი. მნიშვნელოვანია, რომ ეს ინვესტიცია მოხდეს სწორედ იმ 20%-ში, რომელსაც მოაქვს თქვენი სამუშაოს შედეგების დიდი ნილი;

თვითინვესტირების გზები. თვითგანვითარების ბევრი გზა არსებობს, ერთ-ერთია ბიზნეს ლიტერატურის კითხვა და ასეთი წიგნების რეგულარულად ყიდვა. მაგალითად, წარმატებული ადამიანების ბიოგრაფია, რომელიც ხშირ შემთხვევაში გვაძლევს მოტივაციას; ე.წ. „How-to“ წიგნები, რომლებიც გვცემენ პასუხს კითხვაზე „როგორ“, აგრეთვე სხვა ბიზნეს ლიტერატურა, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება და გამოდის ქართული წიგნის ბაზარზეც.

გაკეთეთ დროისა და ფულის ინვესტიცია ისეთი საკითხების შესწავლაზე როგორებიცაა - დროის მენეჯმენტი, მიზნების მართვა, საჯარო გამოსვლის ტექნიკები, მოლაპარაკებების მართვა და ასე შემდეგ. სწორედ, ასე შეგიძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდოთ თქვენი შედეგები ცხოვრებაში.

გახდით დამოკიდებული უწყვეტ განვითარებაზე და გაზარდეთ თქვენი ცოდნა თანამედროვე და მუდმივად; დროთა განმავლობაში აუცილებლად გახდებით ადამიანი, რომელიც გინდათ რომ იყოთ და რისკანაც ისწავლით; თქვენი გონება გახდება მანქანის მართვის მსგავსი და ნარმატება მუდამ თქვენი თანამდებო იქნება.

მომზადდა
სათუნა ბენაშვილი

ადრეული ასაკის ბავშვი

სების ფორმით გამოიხატება; მოძრაობისა და შეხედულებების მიღების მზარდი მოთხოვნილება; დადებითი ხასიათის ემოციების ფორმირება და უფროსებთან, თანატოლებთან, საზოგადოებრივ - ფსიქოლოგიური შინაარსის ურთიერთობის დამყარება; ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გამოუმუშავება.

ადრეულ ასაკში აღმზრდელითი ზემოქმედების თვალსაზრისით, შეიმჩნევა



ე.წ. „განსაკუთრებული სენსიტიურობის“ (მგრძობელობის) პერიოდები. მაგალითად: ბავშვის დაბადებიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ სავსებით შესაძლებელია ჩვილის მხედველობის მექანიზმის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა; შვილის სახიდან (თვალებიდან) დაახლოებით 40-50 სმ-ით დაშორებულ, შედარებით მკაფიო ფერის საგანს აღმზრდელი რამდენჯერმე გადაადგილებს მარჯვნიდან მარცხნივ და ამ დროს ბავშვს შეუძლია 10-30 წამის განმავლობაში მიმართოს (მიაყოლოს) მზერა ამ საგანს. თუ მსგავსი პროცედურა სისტემატიური

იქნება, მაშინ ორი თვის ბავშვი მზერასთან ერთად უკვე თავსაც ამოძრავებს ობიექტის მოძრაობის შესაბამისად.

სამი თვის ბავშვის სენსიტიურობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი სახეა აღმზრდელის ღიმილზე, ალერსიან ჩურჩულზე ან მის მიერ სათამაშოს ჩვენებაზე ბავშვის საკმაოდ სწრაფი საპასუხო დადებითი ემოციური რეაქცია (ღიმილი, ლულუნა). ხშირად ბავშვი ხელსაც გაინვდის სათამაშოსკენ ან აღმზრდელისკენ. ფსიქოლოგები სენსიტიურობის ასეთ გამოხატულებას „გამოცოცხლების კომპლექსს“ უწოდებენ. 6 თვის ბავშვი უკვე თავისუფლად ახერხებს სათამაშოების აღებას და მაშინ განსაკუთრებით შესამჩნევია ხელის თითების მგრძობელობის სრულყოფის პროცესი. 7 თვის ბავშვი მოხერხებულად და ბევრს მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით. ერთი წლის თავზე სიარულს სწავლობს, ორი წლისა ეუფლება მეტყველებას (ძირითადად ორი-სამი სიტყვისაგან შემდგარი მარტივი წინადადებებით სარგებლობს), ხოლო სამი წლის ბავშვი უკვე იწყებს ელემენტარულ თამაშს.

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვის ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მასთან უშუალოდ კონტაქტში მყოფი პირების (მშობლების, აღმზრდელის) ემოციური ურთიერთობა. უფროსებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ამ ასაკის ბავშვი განსაკუთრებული ემოციური სიფაქიზით გამოირჩევა და მასზე ხშირად, ერთი შეხედვით უმნიშვნელო საურთიერთო მომენტებმაც

შეიძლება მძაფრი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. ბავშვი ერთნაირად მტკივნეულად განიცდის როგორც უშუალოდ მის მიმართ, ისე უფროსების ერთმანეთისადმი გამოხატულ მკვეთრ აგრესიულობას. შემდეგი ორი წლის განმავლობაში ნამყვანი როლი საგნობრივ მოღვაწეობას დაეკისრება და ამ პროცესის მსვლელობისას ბავშვი თანდათანობით შეიმეცნებს (გაიგებს) საგნების თვისებებსა და დანიშნულებას. ამ დროს მეტად მოსახერხებელია უფროსების მხრიდან ბავშვის სამოქმედო პოტენციალის განვითარებისაკენ მიზნმიმართული ზრუნვა, თუ მათი მეთვალყურეობით და ნახალისებით ბავშვი მიიჩნევა მარტივი სახის საგნობრივი ოპერაციების განხორციელებას, მაგალითად, სხვადასხვა ფორმების შექმნას, ან კიდევ საკუთარი სათამაშოებისა თუ სხვა საგნების ფერის, ფორმის ან ზომის მიხედვით დახარისხებას და ა.შ.

ადრეული ასაკი ბავშვის ფსიქიკური განვითარების დიდი პოტენციური შესაძლებლობებით ხასიათდება და სწორი აღზრდა-სწავლების პირობებში მაქსიმალურადაც რეალიზდება, მაგრამ იმის გათვალისწინებაც, აუცილებელია, რომ ამ ასაკის ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემის პლასტიკურობა და ფართო კომპენსატორული შესაძლებლობები შეზამებულია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური სისტემების ჯერ კიდევ არასაკმარის მდგრადობასა და ინტენსივობასთან. ამიტომ მშობლებმა და აღმზრდელებმა სასურველია, თანდასთან იზრუნონ სხვადასხვა სტრესული ზემოქმედებისა თუ ფსიქიკური ტრავმის მავნე გავლენისაგან ბავშვის დაცვაზე.

პ.ს. გაგრძელება შემდეგ ნომერში.
ფსიქოლოგი
ბანის გიგოლაშვილი

შვიცარიელი მოგზაური ველოსიკლით ვაშლოვანში



საქართველო რიგით მეცხრე ქვეყანაა, რომელსაც შვეიცარიელი მოგზაური ზოი ბარკო ეწვია. მერამდევე წელია მისი დაუვიწყარი მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ველოსიპედით გრძელდება. ამგვარი მოგზაურები ხშირად გვინახავს, მაგრამ ამ ახალგაზრდა გოგონას დანარჩენებისგან ის გამოარჩევს, რომ ხანგრძლივ მოგზაურობაში ის ოთხფეხა მეგობართან ერთად წავიდა. როგორც თავად ყვება, თურქეთის საზღვრიდან შემოვიდა და ფარავნის ტბა მოინახულა. შემდეგ თბილისს ესტუმრა. დედაქალაქიდან კახეთში აღმოჩნდა, აქ კი, სრულიად შემთხვევით, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის შესახებ შეიტყო და ძალიან მოიხიბლა. გადაწყვიტა ძალღთან ერთად ველოსიპედით ვაშლოვანის ლანდშაფტიც დაეღაშეხა. ასე აღმოჩნდა ზოი დედოფლისწყაროში. გაზეთი „შირაქი“ სწორედ მის შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ.

ზოი ბარკო: „შეი, მე ზოი ვარ შვეიცარიიდან. დიდი ხანია მოგზაურობა დავიწყე და რამდენიმე თვეა საქართველოში ვიმყოფები. ამ ადგილის შესახებ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ შემთხვევით გავიგე. ვაშლოვანი საოცარი და მაგიური სივრცეა. ველოსიპედით მოგ-

ზაურობისთვის მართლაც იდეალური ადგილია, მცირე დასახლებებით და ულამაზესი ბუნებით. ვერ გეტყვით ასე რატომ ხდება, მაგრამ როგორც ჩანს ვაშლოვანის ნაკრძალი ნაკლებად ცნობილი ადგილია, როდესაც საქართველოს შესახებ ინფორმაციას აგროვებ, ეს უნიკალური ადგილი თვალშისაცემი არ არის. ბედნიერი ვარ და ძალიან მიხარია, რომ ამ ნაკრძალის შესახებ გავიგე და ჩამოსვლა მოვახერხე, რადგანაც ის ნამდვილად საოცარი ადგილია დედამიწაზე“.

როგორც მოგზაური ამბობს, არცერთ ქვეყანაში ამდენი ხნით არ გაჩერებულა. მისი თქმით, მიუხედავად პატარა ტერიტორიისა, საქართველოს უამრავი ტურისტული ლოკაცია აქვს და მათი სიმრავლიდან გამომდინარე ამ ქვეყნის საფუძვლიანი დათვალიერება დიდ დროს მოითხოვს, ამდენად ზუსტად იცის, რომ კიდევ რამდენიმე თვეს საქართველოში გაატარებს. ის ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვაშლოვანში დარჩენასაც გეგმავს. თუმცა „შირაქი“ მესამე დღეს მის კვალს

ვედარ მიაკვლია. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ მათთან ზოი ბარკო ნამდვილად იმყოფებოდა, თუმცა, იმის გამო, რომ შენობაში განთავსება ძალღთან ერთად აკრძალულია, შვეიცარიელ მოგზაურს ადმინისტრაციულ შენობაში რეგისტრაცია აღარ გაუვლია და საკუთარი ველოსიპედით გეზი პირდაპირ ნაკრძალისკენ აიღო. „შირაქი“ ეცადა გაერკვია, ისარგებლა თუ არა მოგზაურმა უშუალოდ ვაშლოვანის ნაკრძალში ღამისთვის მომსახურებით.

„ზოი ძალიან საყვარელი გოგოა, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ვინაობა არ ვიცი, რადგან ძაღლების შეყვანა აკრძალულია და ამიტომ არ დარეგისტრირდა. დიდხანს არ გვისაუბრია, ნაკრძალში ოფიციალურად რომ დარჩენილიყო,



ამის შესახებ მეცოდინებოდა,“ – აღნიშნავს ვიზიტორთა სპეციალისტი **ნინო სთუშირაქი**.

ვაჟა ყოჩიაშვილი ვაშლოვანის ნაკრძალში მრავალი წელია მუშაობს, როგორც „შირაქს“ ეუბნება, ეს მოგზაური ორჯერ შეხვდა, ერთხელ ქალაქში, მეორედ კი მინდვრად.

ვაჟა ყოჩიაშვილი (ქურციკების ექსპერტი): „ეს მოგზაური 9 მაისს სრულიად შემთხვევით შემხვდა ქალაქ დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ადმინისტრაციის ოფისთან. როგორც აღმოჩნდა, წყლის ავსება და ტელეფონის დატენვა უნდოდა. მეც რომ გავესაუბრე, კმაყოფილებას გამოხატავდა საქართველოში ყოფნით, მითხრა კიდევ რამდენიმე თვე აქ დავრჩებიო. ძალიან ადრე ვიპოვე და მას მერე ერთად ვმოგზაურობთო. არ ამგონია ამ დრომდე ვაშლოვანში დარჩენილიყო, იმიტომ რომ საშვიც არ ჰქონდა და ყველგან ვერ მივიდოდა. სოციალური ქსელიც არ მაქვსო, რომ დავკავშირებოდიო. მეორე დღეს სოფელ კასრისწყალთან შეგვხვდა, უკვე ნაკრძალისკენ მიდიოდა. ეს კადრებიც სწორედ მაშინაა გადაღებული. შემდეგ რეინჯერებს ვესაუბრე და როგორც ვიცი ღამით არ დარჩენილა არც ნაკრძალის კოტეჯებში“.

ილია მარტყოფლიშვილი



18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა. თარიღი დედოფლისწყაროს მუზეუმებშიც აღინიშნა, თუმცა გასული წლებისგან განსხვავებით კვირული არ ყოფილა. სოფელ მირზანში, ფიროსმანის მუზეუმის ეზოში უკვე მეორედ მოეწყო ფესტივალი – „ეზოზე ფიროსმანს“. სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩამოსული სამხატვრო სკოლების მოსწავლეები, მათ შორის ქ. დედოფლისწყაროსა და მირზანის სამხატვრო სკოლიდან, ნიკალას ეზოში ცდილობდნენ ცნობილი გმირების გაცოცხლებას და მათი ასლების შექმნას.

ფესტივალი კულტურის სამინისტროს დაფინანსებით და ხელოვან ქალთა ასოციაციის ორგანიზებით იმართება, რომლის პრეზიდენტია ლანა ლოლობერიძე. მუსიკალური ნომრები წარადგინეს სხვადასხვა ანსამბლებმა, რომელიც ასევე სხვადასხვა ქალაქებიდან სპეციალურად ამ დღისთვის



მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა

ფიროსმანის ნატურფალზე ჩამოვიდნენ. მუზეუმის დღე აღინიშნა ქალაქ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც. ახლადრეაბილიტირებულ საგამოფენო დარბაზებში, რომელიც ორი წლის წინ გაიხსნა, ხელოვან **ლია მაისურაძე-გონაშვილის** ნაქარგების გამოფენა გაიმართა. მხატვრული ქარგვით შესრულებული ნამუშევრები მუზეუმში კიდევ ერთ კვირას დარჩება.



მუზეუმის დღე ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვით აღინიშნა სოფელ ხორნაბუჯში მდებარე ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. ამჯერად პედაგოგ **რუსუდან კიკილაშვილის** და **მაია მაქალაქაშვილის** ნამუშევრები გამოიფინა.

ქათვანა მჭედლიშვილი (ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი): „მუზეუმების დღე ჩვენ კონფერენციით გაეხსენით, სამი თემა წავიკითხეთ: „ქართული ზედაშეები და ღვინის კულტურა“, „ხორბლის ქართული ჯიშები და გადაშენებული სახეობები“, „გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც დედოფლისწყაროს უკავშირდება“. ჩემს თემაში განხილული იყო

ჩვენი რაიონის ისტორია, XIX-ე საუკუნის დასაწყისიდან, როცა აქ ნიფეგოროდის დრაგუნთა პოლკი ჩადგა. ვისაუბრეთ სამი გვარის, ანდრონიკაშვილების, ჭავჭავაძეებისა და ორბელიანების შესახებ. ანდრონიკაშვილები ქიზიყის მოურავები ყოფილან, რომლებიც ხორნაბუჯის ციხესაც იცავდნენ. 12 ჭავჭავაძე მსახურობდა დრაგუნთა პოლკში და ერთ დროს მას პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე მეთაურობდა. დანარჩენებმა ბრძოლებში გამოიჩინეს თავი. სხვათაშორის, ილია ჭავჭავაძის მამაც აქ მსახურობდა და მოგვიანებით დატოვა ეს რაიონი და ყვარულში დაბრუნდა. გავიხსენეთ ასევე გრიგოლ ორბელიანი და სხვები, რომლებიც ამ პოლკს უკავშირდებოდნენ. საკმაოდ ვრცელი და საინტერესო თემები გვქონდა. შემდეგ გავხსენით გამოფენა-გაყიდვა. რუსუდან კიკილაშვილის ხელნაკეთი სამკაულები და მაია მაქალაქაშვილის ნაქარგები, ნაქარგები, ჩანთები და სხვა. მომავალ კვირას კიდევ სხვა ავტორების ნამუშევრების გამოფენასაც ვაპირებთ“.



იყიდება!

იყიდება სახლი სოფელ ზემო მარჩანაში არმათიონის ეკლესიასთან. 600 კვ.მ მიმდებარე ფართობით და ბაღით, 135 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, 2 სართლიანი - საერთო ფართობით 60კვ.მ აგრეთვე, 40 კვ.მ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით. ფასი შეთანხმებით. საკონტაქტო: 555 39 07 56; 568 150 250;

ილია მარტყოფლიშვილი

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო					
ორშაბათი 22.05 დღე	სამშაბათი 23.05 ღამი	ოთხშაბათი 24.05 დღე	ხუთშაბათი 25.05 ღამი	პარასკევი 26.05 დღე	შაბათი 27.05 ღამი	კვირა 28.05 დღე	
☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☁️
25°	14°	27°	14°	28°	15°	26°	16°
25°	14°	27°	14°	28°	15°	26°	16°
26°	16°	27°	16°	27°	16°	28°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 0 1 4 - 4 6 8.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი